პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ივლისი 1968 კვირა

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 163 (14159)

ინდოეთის სტუმრები საქართველოში

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ზაჰირ ჰუსეინი ეწვია გ. ს. ძოწენიძესა და გ. დ. ჯავახიშვილს

თბილისში სტუმრად მყოფი ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ზაჰირ ჰუსეინი 13 ივლისს მთავრობის სახლში ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ს. ძოწენიძეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს.

გ. ს. ძოწენიძეს, გ. დ. ჯავახიშვილსა და დოქტორ ზაჰირ ჰუსეინს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

გ. ს. ძოწენიძე მიესალმა პრეზიდენტს და სხვა ინდოელ სტუმრებს და თქვა, რომ გულითადი მიღება, რომელიც დოქტორ ზაჰირ ჰუსეინსა და მის თანამგზავრებს გაუწიეს ყველგან საბჭოთა კავშირში დ. კერძოდ, საქართველოში, გამოხატავს საბჭოთა ადამიანების მზურვალე სიმპათიებს დიდი ინდოელი ხალხისადმი.

ჩვენს ხალხში, განაგრძო გ. ს. ძოწენიძემ, ძველად შესანიშნავი თქმულებანი და ლეგენდები იქმნებოდა ინდოეთზე, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს. მე-12 საუკუნის გენიალურმა ქართველმა პოეტმა დამოუზოვნელ შთთა რუსთაველმა თავის უკვდავ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ხოტბა შეასხა ინდოეთს. საბჭოთა ადამიანებს უხარიათ, რომ ფლითიწლობით მტკიცდება და ღრმავდება სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა.

გ. ს. ძოწენიძემ პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს გააცნო საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილება, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სტრუქტურა და საქმიანობა, ესაუბრა რესპუბლიკის უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეებზე.

გ. ს. ძოწენიძე შეეხო საქართველოში სახალხო განათლების დაყენების საკითხებს და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში განსაკრეველდა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლება. საბჭოთა საზოგადოებაში, განაცხადა მან, სულიერი კულტურის მთელი სიმდიდრე ხალხის ინტერესებს ემსახურება.

მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით პრეზიდენტსა და მასთან ერთად ჩამოსულ ინდოეთის წარმომადგენლებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი. მან ხაზი გაუსვა, რომ განუხრელად ვითარდება მეგობრული ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის. ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, თქვა გ. დ. ჯავახიშვილმა, რომ თქვენი ახლანდელი ვიზიტი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი დიდი სიამოვნებით იგონებს ჯავაჰარლალ ნერუს ვიზიტს ჩვენს რესპუბლიკაში, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის სტუმრობა საქართველოში.

გ. დ. ჯავახიშვილმა დოქტორ ზაჰირ ჰუსეინს გააცნო საქართველოს ეკონომიკა და კულტურა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულ მიწა-წყალზე მომხდარი გარდაქმნები. ესაუბრა რა საპატიო სტუმარს, კერძოდ მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაზე, გ. დ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ საქართველოში ყოფნის დროს ჯავაჰარლალ ნერუმ ფოთლელები, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ბილის მეტალურგიული ქარხნის პროტოტიპი გახდა. ბილის ქარხნის აგებაში ქართველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ.

მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის, განაცხადა დასასრულ გ. დ. ჯავახიშვილმა, შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ინდოელი ხალხის ძირეულ ინტერესებს. მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ინდოეთის პრეზიდენტს მიართვეს მინერალების კოლექცია, რომელიც საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა ნიმუშებს შეიცავს.

— ოი დაამშვენებს წიაღისეულთა ჩემს კოლექციებს, — თქვა დოქტორმა ზაჰირ ჰუსეინმა და მადლობა გაუცხადა საჩუქრისათვის.

ინდოეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისთვის მეტად საინტერესო იყო შეეტყო ქართველი ხალხის წარმატებანი. თქვენ იცით,— თქვა მან, — რომ წარსულში ინდოეთი კოლონიური ქვეყანა იყო. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი ადამიანი შიმშილობს, ჩვენში ჯერ კიდევ ყველა ახალგაზრდას როდი აქვს სწავლის შესაძლებლობა. ამიტომ თქვენი წარმატებანი ჩვენთვის შთაგონების წყაროა. ჩვენ განვიცდით თქვენი იდეების კეთილნაყოფიერ გავლენას.

დოქტორმა ზაჰირ ჰუსეინმა აღნიშნა იმ უანგარო დახმარების მნიშვნელობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ინდოეთს ეკონომიურ განვითარებაში. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებით ახლა ინდოეთში შენდება 44 ობიექტი. პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საბჭოთა სპეციალისტების დიდ წვლილს ინდოეთში განათლების განვითარების დარგში.

ვიზიტზე ინდოეთის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრი ა. ვ. სიდორენკო, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ნ. მ. პეგოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ჯაფარიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ვ. ა. ჩოფიკაშვილი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გეგეშიძილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აზიის განყოფილების გამგე ა. ა. ფომინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მ. ა. მეგრელიშვილი, ვ. ი. ჭიაურელი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ლ. კოლოკოლოვი. (საქდესი).

ზეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, შეხვდა გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელშიც შედიოდნენ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მაქს რაიმანი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი მაქს შეფერი და გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ჰერბერტ მინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციებს შორის გაიმართა აზრთა. მეგობრული ურთიერთგაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა და ორივე პარტიას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევით აწყვავებენ საერთაშორისო ვითარებას. ამასთან დაკავშირებით ორივე პარტიამ კვლავ დადასტურა თავიანთი სოლიდარობა ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლასთან სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

პარტიებმა განიხილეს საქმის ვითარება ევროპაში და აღნიშნეს, რომ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი კვლავ საფრთხის ძირითადი კერაა ევროპის კონტინენტზე. ეს საფრთხე მატულობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „საგანგებო კანონების“ მიღების გამო, რომლებიც ახალი ეტაპია რევანშიზმის განვითარების გზაზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ხელი არ აუღია ევროპის იმ საზღვრების რევიზიის გეგმებზე, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ჰიტლერული გერმანიის განადგურების შედეგად. იგი არ ცნობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — სუფრენულ სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც ევროპის უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ბონის მთავრობა არ წყვეტს პროვოკაციათა პოლიტიკას დასავლეთ ბერლინის მიმართ და ყოველნაირად ცდილობს მის შეყვანას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

გერმანიის კომპარტიის დელეგაციამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირის მთავრობის, საბჭოთა ხალხის საქმიანობას, რომლის მიზანია ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის ნამდვილი მიზნების მხილება და მისი რევანშისტული გეგმებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა.

გერმანიის კომპარტიის დელეგაციამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ბონის რევანშისტულ საგარეო პოლიტიკას თან ახლავს რეაქციული ძალების აქტივიზაცია ქვეყნის შიგნით. „საგანგებო კანონების“ მიღება ნიშნავს ახალ ნაბიჯს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებათა ლიკვიდაციის გზაზე. შემთხვევითი როდია, რომ ამ ვითარებაში იზრდება ნეონაცისტური საფრთხე, ძლიერდება ნეონაციზმის მთავარი დასაყრდენის — ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა. ამავე დროს დასავლეთ გერმანიაში იზრდება მოსახლეობის ფართო წრეების უკმაყოფილება ბონის მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის გამო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესული ძალები, რომელთა პირველ რიგებში კომუნისტები დგანან, განაგრძობენ ბრძოლას მშრომელთა ინტერესების დასაცავად, რეაქციის შეტევის წინააღმდეგ.

გერმანიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული ანტიდემოკრატიული წესები თვალსაჩინოდ ვლინდება იმ ფაქტითაც, რომ კვლავ აკრძალულია გერმანიის კომუნისტური პარტია — მუშათა კლასის მებრძოლი პარტია, რომელიც ათეული წლებია იბრძვის ფაშიზმის წინააღმდეგ, მშრომელი მოსახლეობის ინტერესებისათვის, დემოკრატიისათვის, გერმანელი ხალხის უკეთესი მომავლისათვის. ორივე პარტიის აზრით, გერმანიის კომპარტიის საქმიანობის ლეგალიზაცია შეესაბამება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების ინტერესებს, ხელს შეუწყობს ნეონაციზმისა და რევანშიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. დასავლეთ გერმანიის მთელი პროგრესული ძალების შეკავშირებას.

გერმანიის კომპარტიის დელეგაციამ მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტთა და მთელ მშვიდობისმოყვარე ძალთა ბრძოლისადმი სოლიდარობისათვის.

ორივე პარტიის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობის შემდგომი განმტკიცებას გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მომზადება და მოწყობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და გერმანიის კომპარტიამ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ ამ თათბირის წარმატებისათვის.

შეხვედრამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გულთბილობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია ვარშავაში გაემგზავრა

სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად 12 ივლისს მოსკოვიდან ვარშავაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. თ. კატუშევი.

13 ივლისს საბჭოთა კავშირის დელეგაცია ვარშავაში ჩავიდა. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

ა. ნ. კოსიგინი მოსკოვს დაბრუნდა

შვეიცარია ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად დაბრუნდნენ მისი თანმხლები პირნი აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ნ. ალიხანოვი, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. გაპუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი და სხვები. (საკდესი).

14 ივლისი მეგაჯურის დღეა

სურათზე: მოწინავე სოხუმელი მებადურები (მარცხნიდან) ა. ქაროსანიძე, ა. კოდუა და ვ. ბუიანკინი სათევზაოდ გასვლის წინ.

ფოტო ი. ბოსტონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საპატიო სტუმრის პატივსაცემად

13 ივლისს საღამოს თბილისის საბანკეტო დარბაზში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მთავრობის სახელით სადილი გაუმართეს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს დოქტორ **ზაჰირ ჰუსეინს.**

სადილზე ყოფნენ ინდოეთის გზათა მინისტრი **კ. მ. პუნჩჰა,** პრეზიდენტის მდივანი დოქტორი **ნაგენდრა სინგჰი,** ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო საქმეთა მდივანი **რაჯეშვარ დაიალი,** საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე **პრეტხი სინგჰი,** ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში **ქევალ სინგჰი** და სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ს. ძოწენიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი,** სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრი **ა. ვ. სიდორენკო,** სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში **ნ. მ. პეგოვი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **დ. გ. სტურუა,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. მ. ლელაშვილი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ე. მ. ჯაფარიძე,** საქართველოს სსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სახოგადოებრივობის წარმომადგენლები.

სადილის დროს, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ს. ძოწენიძემ** და ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა **ზაჰირ ჰუსეინმა** მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

მე ამ ცოტა ხნის წინათ ვიყავი ინდოეთში, თქვა **გ. ს. ძოწენიძემ,** და შესაძლებლობა მქონდა გავცნობოდი ინდოელი ხალხის ცხოვრებასა და შრომას. ინდოეთი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იტანჯებოდა კოლონიურ უღელქვეშ, ახლა პროგრესის გზას ადგას.

ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე, ხაზი გაუსვა გ. ს. ძოწენიძემ, საბჭოთა ხალხი დიდი სიმპათიით ეკიდებოდა და ეკიდება ინდოელ ხალხს. განუხრელად ვითარდება სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა. ბევრი თვალსაჩინო ინდოელი სახელმწიფო მოღვაწე ყოფილა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვახსოვს ჯავაჰარლალ ნერუსა და ინდოეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა ვიზიტები. და აი დღეს ჩვენ დიდი სიხარულით ვუმასპინძლდებით საპატიო სტუმარს ინდოეთის პრეზიდენტს ზაჰირ ჰუსეინს. გვწამს, რომ დოქტორ ზაჰირ ჰუსეინის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

გ. ს. ძოწენიძემ შემდეგ თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები დოქტორ ზაჰირ ჰუსეინს იცნობენ არა მარტო როგორც ინდოეთის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, არამედ აგრეთვე როგორც კაცს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა განათლების განვითარებისათვის თვის ქვეყანაში.

გ. ს. ძოწენიძემ გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას, შრომისმოყვარე და ნიჭიერ ინდოელ ხალხს.

საპასუხო სადღეგრძელო წარმოთქვა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა **ზაჰირ ჰუსეინმა.** გული მეუბნება, თქვა მან, რომ ერთხელ კიდევ დიდი მადლობა გადაეუხადო ყველა საბჭოთა ადამიანს სტუმართმოყვარეობისათვის, გულთადი მასპინძლობისათვის, რომელიც თქვენს ქვეყანაში გამიწიეს. ყველგან საბჭოთა ადამიანები გამოხატავენ ინდოელი ხალხისადმი დიდი სიმპათიისა და პატივისცემის გრძნობებს. ვიცოდი, რომ საბჭოთა კავშირში უყვართ ჩემი ერი, თქვა დოქტორმა ზაჰირ ჰუსეინმა, „მაგრამ აქ ჩემი თვალით ვნახე, თუ რაოდენ გულწრფელია თქვენი მეგობრობა, თქვენი პატივისცემა.

დოქტორმა ზაჰირ ჰუსეინმა შემდეგ აღნიშნა, რომ გულით უხარია ჩვენი ხალხის წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოიპოვეს, რადგან ნამდვილ მეგობრებს არ შეიძლება სხვა გრძნობები ჰქონდეთ. ბედნიერი ვარ აღვნიშნო, თქვა პრეზიდენტმა, რომ არ არის არცერთი დარგი, რომელშიც თქვენს ხალხს კოლოსალური წარმატებებისათვის არ მიეღწიოს. თქვენი ხელოვნება, თქვენი კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ძვირფასია ინდოელი ხალხისათვის.

პრეზიდენტმა თქვა, რომ ინდოელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობა მშვიდობის საიმედო გარანტიაა, რომ ეს მეგობრობა ეხმარება ინდოეთს ბევრი პრობლემის გადაჭრაში.

დოქტორი ზაჰირ ჰუსეინი შეეხო ინდოელი ხალხის წარმატებებს და თქვა, რომ ჯერ კიდევ ყველა პრობლემა როდი არის გადაჭრილი ინდოეთში. მაგრამ ეს არ გვაშინებს, აღნიშნა პრეზიდენტმა. საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა გვინერგავს რწმენას, რომ დავძლევთ ყველა სიძნელეს.

როცა საბჭოთა ხალხთან მეგობრობაზე ვლაპარაკობთ, თქვა დასასრულ დოქტორმა ზაჰირ ჰუსეინმა, მხედველობაში გვყავს ქართველი ხალხიც. მეგობრობას თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. ჩემი აზრით, ჩვენი ხალხების მეგობრობა სასარგებლოა არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისთვისაც.

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამარჯვება უსურვა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, ქართველ ხალხს, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხებს. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის კარგი გამოცდილება

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტი, ხელმძღვანელობს რა სკკპ XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობას ახმარს იმას, რომ საწარმო მოამზადოს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის განხორციელებისათვის, რომ ქარხანამ სრულყოს წარმოება, ამაღლოს რენტაბელობა და გაუმჯობესოს მთელი ეკონომიური საქმიანობა.

ქარხნის კომუნისტების 80 პროცენტი შრომობს საამქროებში და უბნებზე და გადამწყვეტ გავლენას ახდენს საწარმოო დავალებათა შესრულებაზე, ისინი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს იძლევიან. საწარმოში დამახასიათებელი ავტორიტეტით სარგებლობენ კომუნისტები — სოციალისტური შრომის გმირები მეფოლადე ა. ფანცულაია და მებრძოლი ა. ძამაშვილი, საამქროს უფროსი, ლენინური პრემიის ლაურეატი პ. წერეთელი, მეფოლადე გ. სებინკვერაძე, მექურე რ. კანდაშვილი და ბევრი სხვა. კომუნისტების ავანგარდული როლი ხელს უწყობს ამ პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდას, რომლის რიგებში სისტემატურად შედიან წარმოების საუკეთესო მუშაკები.

პარტიული კომიტეტი თავის ყოველდღიურ მუშაობაში განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული საამქროებისა და უბნების, აგრეთვე მთლიანად საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებასთან. პარტიული კომიტეტის სხდომებზე, პარტიული აქტივისა და საამქრო პარტიულ ორგანიზაციათა კრებებზე განიხილებოდა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენება, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, მომჭირნეობა და ყაირათიანობა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ბევრი სხვა.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია და დირექცია იღებენ ზომებს იმისათვის, რომ კვალიფიციური კადრებით განამტკიცონ ქარხნის ეკონომიური სამსახური და აამაღლონ მათი ეკონომიური ცოდნა. მოეწყო ეკონომიური სწავლება ქარხნის ხელმძღვანელობისათვის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, წარმოების ნოვატორებისათვის.

პარტიული კომიტეტი და საამქრო პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ წარმოების რეზერვების გამოვლენებას, მონაწილეობენ ამ რეზერვების გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებაში, ამ სამუშაოში აბამენ ფართო აქტივს. საწარმოში რეგულარულად ეწყობა ქარხნის ეკონომიური საქმიანობის ანალიზი, ისახება ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ყოველივე ეს დადებით გავლენას ახდენს ქარხნის მუშაობაზე. საწარმოს კოლექტივი სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს. მეტალურგებმა წარმატებით შეასრულეს ხაუიბილეო წლის პროგრამა და მუშაობის ტემპებს არ ანელებენ ხუთწლედის მესამე წელსაც. პროდუქციის რეალიზაციის ექვსთვის დავალება შესრულებულია 102,3 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათასამდე ტონა მზა ნაგლინი, ფოლადი, მილები, თუჯი.

წლითიწლობით იზრდება ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოება. მაგალითად, თუჯის წარმოების ზრდამ 1967 წელს 1966 წელთან შედარებით შეადგინა 2,3 პროცენტი, ფოლადისამ — 2,4 პროცენტი, მზა ნაგლინისამ — 11,5 პროცენტი. გარდა ამისა, ქარხანამ ათვისა სლაბების მიღება ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე, აგრეთვე ალიტირებული მილების, ახალი პროფილის კუთხოვანი სამაგრი მილების წარმოება.

ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტალურგიული აგრეგატების წარმადობა. მაგალითად, დგან „1.000“-ის საათობრივი წარმადობა მიმდინარე წელს 6,5 ტონით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით. მარტენის საამქროში გაიზარდა ფოლადის ანართმი ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე, ხოლო კოქსქიმიურ საამქროში შემცირდა კოქსვის პერიოდი. ამის შედეგად ფონდგამოლების ზრდამ შარშან ძირითადი საწარმოო ფონდების ერთ მანეთზე შეადგინა 6,4 პროცენტი.

პარტიული კომიტეტი საწარმოს კოლექტივს რაზმავს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. ეს მაჩვენებელი განუხრელად იზრდება და უსწრებს ხელფასის ზრდას. მაგალითად, მიმდინარე წლის ექვს თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა ექვსი პროცენტით, ხოლო საშუალო ხელფასი — 2,9 პროცენტით.

მეტალურგებმა მიაღწიეს პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას. ამის მეთხუთმეტ 1967 წელს ქარხანამ პირველად მიაღწია რენტაბელურ მუშაობას. წლის დამდეგიდან საწარმომ რამდენიმე მილიონი მანეთი მოგება მიიღო.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობას ნელფეულის, სათბობისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის შეჯიბრების გაშლის საქმეში და მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ განუხრელად დაიცვას მომჭირნეობის რეჟიმი წარმოების ყველა უბანზე. მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ლაშქრობაში ჩაება ათასზე მეტი სახალხო კონტროლორი, მეტალურგთა ფართო აქტივი. ამის შედეგად წლის დამდეგიდან დაზოგილია 4 ათას ტონაზე მეტი კოქსი, 2,5 ათასი ტონა ლითონი, 27,8 ათასი ტონა პირობითი სათბობი, 2,4 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და სხვ.

წარმოების ეკონომიკის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქარხნის რაციონალიზატორებს, რომელთა შორის 600-ზე მეტი კომუნისტია. შარშან რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიღებულმა ეკონომიურმა შედეგმა მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ბევრი რამ გაკეთდა შიდასაქარხნო და შიდასაამქრო სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა და სრულყოფისათვის. საწარმოში სამეურნეო ანგარიშში დანერგვილია 8 ძირითად და 18 დამხმარე საამქროში. დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადებასთან დაკავშირებით დასახულია საამქროთა შორის სამეურნეო ანგარიშზე დამყარებული ურთიერთობის სრულყოფის ღონისძიებანი.

პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, წარმოების კულტურის ამაღლებას. მაგალითად, შარშან შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებანი განხორციელდა 355 სამუშაო ადგილზე. ამის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ 294 ათასი მანეთი შეადგინა.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ, განიხილა რა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება საწარმოს ეკონომიურ საქმიანობის გაუმჯობესებაში, აღნიშნა, რომ პარტიული კომიტეტის მუშაობაში არის ცალკეული ნაკლოვანებებიც. პარტიული კომიტეტი ყოველთვის დროულად როდი ეხმაურება უხარისხო პროდუქციის გამოშვების, მასალების უყაირათოდ ხარჯვის ფაქტებს. ქარხანა კვლავ იღებს რეკლამაციებს. წუნით გამოწვეულმა ზარალმა 1967 წელს 750 ათასამდე მანეთი შეადგინა.

პარტიული კომიტეტი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრებთან მუშაობას, რის გამო დიდია მუშახელის დენადობა და გაცდენების რიცხვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ დაავალა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ კომიტეტს განუხრელად სრულყოს საამქრო პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელობის მეთოდები, აამაღლოს მათი პასუხისმგებლობა და ორგანიზატორული როლი მშრომელთა აღზრდის საქმეში, იბრძოლოს იმისათვის, რომ თვითეული კომუნისტი შრომისადმი დამოკიდებულებით, სამუშაოზე და ყოფაცხოვრებაში ქცევით აქტიურ გავლენას ახდენდეს კოლექტივის წევრთა კომუნისტური შეგნების ამაღლებაზე.

საჭიროა სისტემატურად აამაღლოს იდეოლოგიური მუშაობის დონე. მრავალფეროვანი გახადოს მისი ფორმები და მეთოდები, აღზარდოს კოლექტივი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ფართოდ უნდა იყ

ინდოელი სტუმრები საქართველოში

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ეცნობა თბილისს

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ზაქირ ჰუსეინი და მისი თანამგზავრები 13 ივლისს ეცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქს. მათ გაისეირნეს ქალაქში, იყვნენ ახალ საცხოვრებელ რაიონებში, მოინახულეს მწვანეში ჩაფლული ფართო ქუჩებითა და ბოულევარებით. ინდოელმა სტუმრებმა ყურადღება მიაქციეს მშენებლობის დიდ გაქანებას. მათ შეიტყვეს, რომ მარტო უკანასკნელი ცამეტი წლის მანძილზე თბილისში აშენდა ორ მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ორ საათზე მეტხანს დაჰყვეს დოქტორმა ზაქირ ჰუსეინმა და მისმა თანმხლებმა პირებმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. გამოფენის დათვალიერებას წინ სტუმრებს უჩვენეს დოკუმენტური ფერადი ფილმი, რომელიც მაყურებელს აცნობს საქართველოს წარმატებულ ბუნებას, ინდუსტრიას, მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას, უძველეს კულტურას, „მის ხალხს — მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. ეს იყო თავისებური მოგზაურობა საქართველოში.

ცხრა პავილიონში თავმოყრილი 11 ჰექტარზე მეტი ეკუთხნატი ქართველი ხალხის შთაგონებული შემოქმედებითი შრომის მყაფიო სურათს ქმნის. დოქტორი ზაქირ ჰუსეინი დაინტერესა რაკეტის მსგავსმა დანადგარმა. ეს სამშვიდობო რაკეტებია, უთხრა პრეზიდენტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარემ გ. შ. მიქელაძემ, რომელიც ახსნა-განმარტებას იძლეოდა. ისინი ქართველმა მეცნიერებმა შექმნეს სეტყვასთან საბრძოლველად. ამ მეთოდის საცდელ-სამრეწველო დანერგვა წარმოებს ალაზნის ველის 400 ათასამდე ჰექტარ ფართობზე.

პრეზიდენტის ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ჩაის საკრეფმა მანქანამ „საქართველომ“, რომელიც მსოფლიოში პირველად ქართველმა კონსტრუქტორებმა შექმნეს. დოქტორ ზაქირ ჰუსეინს აცნობეს, რომ ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის მეცნიერებს და სპეციალისტებს ლენინური პრემია მიენიჭათ.

სტუმრები ძალიან გაოცდნენ, როცა შეიტყვეს, რომ მანქანას შეუძლია შეუაირჩიოს და მოწყვეტოს მხოლოდ სჭირო — ნაზი და მწიფე ყლორტები. მათ გამოიკითხეს მანქანის მწარმოებლობა, მისი ღირებულება. სტუმრებს უთხრეს, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც 1966 წელს გაიმართა მოსკოვში, „საქართველომ“ ოქრის მედალი მიიღო.

ნაშუადღევს ინდოეთის პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ ხელოვნების მუზეუმში. მუზეუმის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ი. ამირანაშვილმა ინდოელ სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის ხელოვნების საგანძური. დოქტორი ზაქირ ჰუსეინი ინტერესით ათვალიერებდა ქართულ ოქრომჭედლობას, ცნობილ ქართულ ტიხრულ მინანქარს, რომელიც მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მუზეუმში დაცული მხატვრული ფასეულობანი მოწმობენ ქართული ხალხის მდიდარ, მრავალსაუკუნოვან კულტურას. (საქდესი).

ინდოეთის პრეზიდენტი დაესწრო ოპერა „დაისს“

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ზაქირ ჰუსეინი და მისი თანმხლები პირნი, აგრეთვე ინდოეთის ელჩი საბჭოთა სტუმარს, ყვავილები მიართვეს. სპექტაკლის დაწყების წინ შესრულდა ინდოეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისმა“, რომელიც გამოირჩევა თავისი პოეტურობით, უშუალობით, სახეების სიმდიდრითა და სილამაზით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დოქტორ ზაქირ ჰუსეინსა და მის თანამგზავრებზე. ისინი მეტწილად უკრავდნენ ტაშს სპექტაკლის მონაწილეებს.

მსახიობებს პრეზიდენტის სახელით ყვავილები მიართვეს. (საქდესი).

გილოცავთ დღესასწაულს, საბჭოთა მეგადურეებო!

ბოსკოვი, 12 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს დედაქალაქში გაიმართა მეგადურის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

საბჭოთა მეგადურები შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ თავიანთ დღესასწაულს. მათ ვადამდე შეასრულეს წლის პირველი ნახევრის გეგმა. დავალების გადამეტებით მიიღეს მილიონზე მეტი ცენტნერი თევზი და ზღვის პროდუქტი. ყველაზე ადრე შეასრულეს ნახევარი წლის დავალება ჩრდილოეთისა და კასპიის აუზების მეგადურებმა.

მეგადურთა წარმატებანი შესაძლებელი გახდა სრულყოფილი ტექნიკით ფლოტის აღჭურვის შედეგად. ზღვებსა და ოკეანეებში რეწვას ეწევა ათასობით თვითმავალი გემი, რომლებიც აღჭურვილია თევზჭერის უახლესი საშუალებებით, თევზის გადასამუშავებელი მანქანებითა და მექანიზმებით.

კირველი გაფრენა

პირველად ავიდა ცატი სამგზავრო თვითფრინავი „ბე-30“, რომელიც შექმნა საკონსტრუქტორო ბიურომ გ. მ. ბერიევის ხელმძღვანელობით. ფრენა დიდხანს არ გაგრძელებულა — სულ 32 წუთი. მაგრამ სწორედ ამ წუთებში დაიბადა კიდევ ერთი საჰაერო ხომალდი.

„ბე-30“ გათვალისწინებულია აღგილობრივი ავიახაზების მომსახურებისათვის. მის სალონში დგას 14 რბილი სავარძელი, არის ვენტილაციის სისტემა. სრული დატვირთვის დროს თვითმფრინავს შეუძლია განავითაროს საათში 500 კილომეტრი სიჩქარე. აფრენა-დაჯდომისათვის სჭირდება პატარა გრუნტიანი აეროდრომი. (საკდესი).

ნარმოების საზოგადოებრივი კონტროლის დათვალიერება

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად გამოაცხადეს 1968-1969 წლებში წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერება მაგისტრალის საწარმოებსა და ორგანიზაციებში. **დათვალიერება 3 ივლისიდან 100 წლისთავს.**

დათვალიერების მთავარი ამოცანებია შრომის ნაყოფიერების გადიდება, საწარმო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვა, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფა, რკინიგზის ტრანსპორტის ყველა რგოლის ზუსტი, რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა და სახალხო სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულების შემცირება.

დათვალიერების სახელმძღვანელოდ და შედეგების შესაჯამებლად რკინიგზაზე, აგრეთვე მაგისტრალის განყოფილებებში, ქარხნებში, დეპოებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში იქმნება კომისიები მოწინავე მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, ქარხნებში, დეპოებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებში იქმნება კომისიები მოწინავე მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, ეკონომისტთა და სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენლებისა შემადგენლობით.

საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები ჯამდება ყოველწლიურად, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომი გამარჯვებულთ გადაეცემათ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე. (საქდესი).

„უორკერი“ გადასცემს ესტაფეტას

ნიუ-იორკი, 12 ივლისი (საკდესი). აქ გამოვიდა უკანასკნელი ნომერი ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გაზეთ „უორკერისა“, რომელიც 46 წლის განმავლობაში გამოხატავდა მუშათა კლასისა და მთელი პროგრესული ამერიკის ინტერესებსა და მისწრაფებებს. მუშათა პრესის ესტაფეტას იღებს ყოველდღიური გაზეთი „დეილი უორლდი“, რომლის პირველი ნომერი 16 ივლისს გამოვა.

„ყველდღიური გაზეთის გამოსვლა, აღნიშნავს სარედაქციო სტატიაში „უორკერი“, რომელიც კვირაში ორჯერ გამოდიოდა, „ახალი თავია ამერიკის შეერთებული შტატების მარქსისტული ჟურნალისტიკის ისტორიაში“.

გაზეთ „უორკერის“ უკანასკნელი ნომერი მკითხველებს უამბობს, რომ ამას წინათ ნიუ-იორკში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის რიგგარეშე ყრილობა, რომელმაც განიხილა პარტიის პროგრამის გადასინჯული პროექტი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად კომუნისტებისაგან დასახელა ზანგი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალი შარლენ მიტჩელი.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გუს ჰოლი ბეჭითის უკანასკნელ ნომერში წერს, რომ „უორკერი“ „იმპერიალიზმის, რასიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ“ ბრძოლის რუპორი იყო. ამ ამოცანებს, აღნიშნავს ჰოლი, ახლა ღირსეულად შეასრულებს „დეილი უორლდი“.

უშედეგო თათბირი

პარიზი. 13 ივლისი. (საკდესი). სრული მარცხით დამთავრდა პარიზში ევროპის კომუნისტური რაბოჩემბის მშენებლობისა და გაშვების ორგანიზაციის მონაწილეთა ორდღიანი თათბირი. ამ ორგანიზაციის წევრმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ვერ გადაჭრეს ფინანსური კრიზისი, რომელიც აფერხებს დასახული პროგრამის შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს ევროპის პირველი თანამგზავრების გაშვებას 1971 წელს.

ფინანსურ სიძნელეთა გამო თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მიიღონ შემცირებული პროგრამა, ხელი აიღონ მთელ რიგ თავდაპირველ პროექტებზე.

ჰარისონი კვლავ ამცირებს

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. (საკდესი). საოლქო პროკურორმა ჯონ ჰარისონმა, რომელიც პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის გარემოებებს იძიებს, განაცხადა, რომ მოხდა ინფორმაციის გაცვლა ამერიკის შეერთებული შტატების მეგობარი ერთი ევროპული ქვეყნის სადაზვერვო სამმართველოსთან, რის შედეგად, როგორც მან აღნიშნა, „წარმატებით გაიხსნა ამ მკვლელობის ოპერაცია.“

ახალი ორლეანის გაზეთ „ტაიმს პიკაიუნისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გავრცელა, ჰარისონმა აღნიშნა, რომ ამ უცხო სახელმწიფოსაგან მიღებული ინფორმაციია აღასტურებს მის მარაულს, რომ პრეზიდენტი კენედი მოკლეს „ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა“.

ჰარისონმა განაცხადა, რომ ჩადენილ მკვლელობაში ჩარეულია ორი მნიშვნელოვანი ძალა. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. „მეორე ძალას შეადგენენ ერთი მუჭა მეტად გავლენიანი პირნი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთის სამრეწველო კომპლექსში, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. ეს, უეჭველია, ადასტურებს არა მარტო იმას, რომ პრეზიდენტი კენედი ორგანიზებული შეთქმულების შედეგად მოკლეს, რომელშიც მთავრობის ერთ-ერთი დაწესებულების ხელიც ერია, არამედ იმასაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყველაფერს ღონობს, რომ მიჩქმალოს ყოველივე ეს“.

ჰემფრის წინასაარჩევნო განცხადება

ვაშინგტონი 13 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. ჰემფრიმ, რომელიც ნოემბრის არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთი პრეტენდენტია, ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი უახლოესი ათი წლის განმავლობაში ამერიკის საგარეო პოლიტიკის განვითარების შესახებ. პრესისათვის გავრცელებულ სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა: შეერთებულმა შტატებმა „წინააღმდეგობის გაწევისა და შეკავების პოლიტიკა უნდა შეცვალოს შერიგებისა და სამშვიდობო ვალდებულებათა პოლიტიკით“. მისი აზრით, ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარი და უპირველესი ამოცანა უნდა იყოს „შერიგება“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში.

— მე იმის მომხრე ვარ, — აღნიშნა ჰემფრიმ — რომ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ თავდაცვითი და შეტევითი სტრატეგიული ატომური იარაღის გაყინვისა და შემცირების მიზნით, რასაც უნდა მოჰყვეს ყველა ქვეყნის ღონისძიებანი ყოველგვარი სახეობის იარაღისა და სამხედრო ბიუჯეტების შესამცირებლად.

ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „შერიგების პოლიტიკის „განხორციელებას“ მნიშვნელოვნად დაეჩქარებს ვიეტნამში მშვიდობის დამყარება“. ამასთანავე ჰემფრის მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა კვლავაც „მზად უნდა იყოს“ ვალდებულებათა შესასრულებლად განვითარებადი ქვეყნების სამყაროში“.

ჰემფრის წინადადებაა „უფრო ფართო კონტაქტები“ დამყარდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, გაუქმდეს შეზღუდვები არასტრატეგიული საქონლის ვაჭრობაზე, ზახალინდეს მეცნიერების, ჟურნალისტებისა და ხელოვნების მოღვაწეების გაცვლა.

ორპარტიული სისტემის კრიზისი

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. საკდესის საკუთარი კორესპონდენტი ე. ბახკაროვი გვატყობინებს: წინასაარჩევნო კამპანიის გაფართოების კვალობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო ძლიერ იჩრქნობა საზოგადოებრიობის უკმაყოფილება ქვეყანაში გაბატონებული ორპარტიული სისტემის გამო.

თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ორპარტიული სისტემის საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალი ინარჩუნებს ბატონობას ქვეყანაში, ამომრჩეველთა მასას აძლევს „არჩევის“ ფიქტიურ შესაძლებლობას, ესე იგი შესაძლებლობას ხმა მისცეს მმართველი პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ, რომელიც არსებითად არ განსხვავდება მისგან.

წლევანდელი წინასაარჩევნო კამპანია, ისევე როგორც ყოველთვის წარსულში, ორი ბურჟუაზიული პარტიის ბატონობის ვითარებაში მიმდინარეობს. მაგრამ ჯონსონის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიზისმა ორივე პარტიაში უთანხმოებანი წარმოშვა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებზე. ამასთან მთავრობის კურსს ბევრი მოწინააღმდეგე, რომლებიც ვერ ხედავენ ორპარტიული სისტემის ფარგლებში მისი შეცვლის შესაძლებლობას, მოითხოვს მესამე პარტიის შექმნას. ზოგიერთი დემოკრატი ამბობს, რომ ახალი პარტია შეიძლება გახდეს სენატორ ი. მაკარტის დაჯგუფება, რომელიც ომის საწინააღმდეგო პროგრამას აყენებს.

ახალი პარტიის შექმნას ამას წინათ მხარი დაუჭირა გავლენიანმა ეფორწალმა „ნიუ რიპაბლიკამ“. ივნისში ჩიკაგოში გამართული ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციათა კონფერენციის ორასზე მეტმა მოწაწილემ აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკელებ შექმნან ახალი პარტია.

14 ივლისი ერაყის რესპუბლიკის ეროვნული დღეა

ერაყის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარებულია ფართო ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა. ბაღდადში მწყობრში ჩადგა საკვლევი ატომური რეაქტორი, რომლის სიმძლავრე ორი ათასი კილოვატია. რეაქტორი აგებულია საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით და უმთავრესად საბჭოთა მოწყობილობით.

სურათზე: ატომური რეაქტორის შენობის საერთო ხედი.

ფოტო ლ. ვოლნოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბულგარეთი

ბულგარეთის საგარეო ვაჭრობა

სოფია, 12 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის ეროვნული ეკონომიკის ბანკის ინფორმაციით, ბულგარეთის საგარეო ვაჭრობა 1968 წლის ექვსთვიანში 1967 წლის ექვსთვიანთან შედარებით 15 პროცენტით გაიზარდა. ბულგარეთი ექსპორტს ახორციელებს 100 ქვეყანაში, ხოლო ბულგარეთში ინაგზავნება 80 ქვეყნის პროდუქცია.

ბულგარეთ-ალბანეთ-ჩინეთ

ბულგარეთ-ალბანეთ-ჩინეთ

ბუქარესტი, 12 ივლისი. (საკდესი). ბუქარესტში ბულგარეთ-ალბანეთ-ჩინეთ ეკონომიკურ ურთიერთობათა ორმხრივ ინფორმაციულ ბიულეტენ „ბალკანეთ“ ბეჭდავენ ალბანურ, ბულგარულ, ინგლისურ, ფრანგულ, ჩინურ, ესპანურ, ბერძნულ, ინდურ, ინდონეზიურ, ბირმიულ, ფერსიულ, ფინურ, ფორტუგალიურ,

ჯალღებთან ჭიდილში

საქართველოს თევზის მრეწველობა დღეს

საქართველოს თევზის მრეწველობის მუშაკებისათვის „მებადურის დღე“ ტრადიციულ ზეიმად გადაიქცა.

თავიანთ დღესასწაულს საქართველოს თევზის მრეწველობის მუშაკები კარგი მაჩვენებლებით ხვდებიან. ბათუმის სახელმწიფო თევზჭერის ბაზამ 20 ივნისისათვის შეასრულა 1968 წლის პირველი ნახევრის გეგმა, ხოლო თევზის მომპოვებელმა კოლმეურნეობებმა დღესასწაულისათვის გადაჭარბებით შეასრულეს თევზის მოპოვების 1968 წლის პირველი ნახევრის გეგმა.

ქართველი მებადურნი ახალი ამოცანების წინაშე დგანან. 1970 წელს მათ უნდა მოიპოვონ ოთხჯერ მეტი თევზი, ვიდრე 1965 წელს.

საქართველოს თევზის მრეწველობას სამმართველომ თევზის მოპოვება უნდა გაზარდოს ძირითადად ახალი საოკეანო თევზსაჭერი ტრაულერების რაოდენობის გადიდებით და თევზსაშენი სატბორო მეურნეობების გაფართოებით.

როგორც ცნობილია, საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველოს 1963 წელს შეემატა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აშენებული პირველი საოკეანო ტროპიკის ტიპის ტრაულერი „შოთა რუსთაველი“, რამაც დასაბამი მისცა ატლანტიკის და ინდოეთის ოკეანეებში ქართველ მებადურთა მიერ თევზის მოპოვებას. თუ 1963 წლამდე საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველოს მიერ თევზის საშუალო წლიური მოპოვება შეადგენდა 60-70 ათას ცენტნერს, 1963 წელს მოპოვებული იქნა 150 ათასი ცენტნერი, რის შედეგადაც საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველომ თევზის მოპოვების ზრდის ტემპების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პირველი ადგილი დაიკავა და დღემდე პირველობას არავის უთმობს.

ამჟამად სამმართველოს განკარგულებაშია თევზის მომპოვებელი 18 საოკეანო ტრაულერი. ხუთწლედის ბოლოს მათი რიცხვი ოცს მიაღწევს, რის შედეგადაც მსოფლიოს ოკეანეებში მოპოვებულ იქნება 1.480 ათასი ცენტნერი თევზი ნაცვლად 1965 წლის 127 ათასი ცენტნერისა.

საქართველოს თევზის მრეწველობისათვის შავი ზღვა თევზის მოპოვების ერთ-ერთი ობიექტია. შავ ზღვაში რეწვას ეწევა ბათუმის თევზის მომპოვებელი სახელმწიფო ბაზა, რომლის განკარგულებაშია 9 სეინერი და სამმართველოს სისტემაში შემავალი თევზის მომპოვებელი 4 კოლმეურნეობა (ბათუმი, ფოთი, სოხუმი და გაგრა).

შავ ზღვასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქციის ერთ-ერთი წყაროა მიდა წყალსატევები — მდინარეები: მტკვარი, ალაზანი, იორი და ხრამი, საღამოს, ტაბაწყურისა და ფარავნის ტბები, თბილისის და ხრამის წყალსაცავები. იმ მიზნით, რომ საქართველოს შიდა წყალსაცავებში მკვეთრად გაიზარდოს თევზის მოპოვება, ფარავან-საღამოს და ტაბაწყურის ტბებზე, აგრეთვე თბილისის წყალსაცავებზე შეიქმნა თევზის მეურნეობანი, რომელთა მიზანია თევზის ხელოვნურად მოშენება და რეალიზაცია.

მოსახლეობის ცოცხალი, ახალი თევზით მომარაგების ერთ-ერთ წყაროს თევზსაშენი სატბორე მეურნეობანი წარმოადგენენ. საქართველოში არსებული ბუნებრივი და კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ფართოდ განვითარდეს თევზსაშენი სატბორე მეურნეობანი. ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს ობიექტური შესაძლებლობანი, რომ ახლო მომავალში სატბორე მეურნეობანი გადაიქცნენ ჩვენს რესპუბლიკაში კვების რესურსების გადიდების სერიოზულ წყაროდ. ჩვენში ბოლო დრომდე თევზსაშენი სატბორე მეურნეობანი ძალიან სუსტად ვითარდებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველოს სისტემაში 1961 წლამდე ლანჩხუთის რაიონში იყო ერთადერთი — ჯაბანის თევზსაშენი სატბორე მეურნეობა.

1962-1968 წლებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ნოქალაქევის — ცხაკაიას რაიონში, კახეთის — ბათუმის რაიონში, ჯონდოლის — თელავის რაიონში, მაღლაკის — წყალტუბოს რაიონში თევზსაშენი სატბორე მეურნეობები, თევზსაშენი მეურნეობა ხანჩალის ტბის ბაზაზე ბოგდანოვკის რაიონში, რუხის საკალმახე მეურნეობა და სხვ.

ზემოაღნიშნული მეურნეობებიდან მიმდინარე წელს მიღებულ იქნება 3.500 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თევზი.

საქართველოს თევზის მრეწველობის წინაშე მიმდინარე ხუთწლედში დიდი ამოცანები დგას. თევზის პროდუქციის გაზრდა დასახულია ძირითადად მთლიანი პროდუქციის გადიდების გზით, რომელსაც მაღალი საგემოვნო თვისებები აქვს და რომელზეც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა დასახულია მკვეთრად გადიდდეს აგრეთვე მაღალხარისხოვანი თევზისაგან კულინარიული ნაწარმის გამოშვება. ამ მიზნით თბილისის თევზის ქარხანაში, ბათუმის თევზის მომპოვებელ სახელმწიფო ბაზასა და ფოთის თევზის კომბინატში აშენდა თევზის დასამუშავებელი საამქროები.

ამასთანავე ჩვენ, რესპუბლიკის მეცხოველეობას და მეფრინველეობას უნდა მივაწოდოთ თევზის ფქვილი და სხვა არასაკვები პროდუქცია. ასეთი სახის პროდუქციას საქართველოს თევზის მრეწველობა მომდინარე წელს 53 ათას ცენტნერს დაამზადებს.

საქართველოს თევზის მრეწველობის მუშაკები, ეგებებიან რა თავიანთ დღესასწაულს — „მებადურის დღეს“, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ძალების დაუზოგავად გადაჭარბებით გაანაღდებენ მიმდინარე წლის გეგმის ყველა მაჩვენებელს, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი რესპუბლიკის კვების რესურსებას შემდგომი გადიდების საქმეში.

ზ. ლოგჟანიძე,
საქართველოს თევზის მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

სურათზე: სახელმწიფო თევზჭერის ბათუმის ბაზის მოწინავე სეინერების კაპიტან-ბრიგადირები ბიმი უკლება და ვლადიმერ აფხაზავა, რომელთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს თევზჭერის 1968 წლის გეგმა. მათ ვალდებულება აიღეს წლის ბოლომდე კიდევ ასობით ცენტნერი თევზი დაიჭირონ.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეზობლები

ნვენი თანამედროვეთა ხასიათი

ინათა თუ არა, ლევანი წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და ტელეფონის ყურმილი აიღო.

— ალო, ესმა ხარ? გენაცვალე, ძველი ანაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მალაპარაკე.

— ძველი ანაგა! დალი ხარ? თქვენი თავმჯდომარე ალაპარაკე ჩვენსას.

— ჰო, დიახ, დიახ; სოსო, შენა ხარ? გამარჯობა, მეზობელო! დღეს როგორია შენი მუშაობის გეგმა. კი... ალაზანზე ყანებს ხომ არ დავხედოთ? თანახმა ხარ, ხომ? თხუთმეტი წუთის შემდეგ თქვენს წყალსაჭაჭ სადგურთან შევხვდეთ.

თითქმის ასე იწყებენ ყოველ სამუშაო დღეს ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლევან დოლმაზაშვილი და ძველი ანაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოსო ბეგიაშვილი. განსხვავება ის არის, რომ დარეკვას ხან სოსო ასწრებს, ხან ლევანი.

„კოლხოზნიკმა“ გეზი ძველი ანაგის კოლმეურნეობის ფერმისაკენ აიღო.

— ლევან, აბა, შეხედე, შეხედე ერთი, სატბაანის გამოცდილთ თუ არა, საძოვრიც გაფუჭდა, ყანაც ისეთი არ არის, — ბუზრობით ეუნებება სოსო.

— მეზობელს მეზობლის ქათამი ინდაური ეგონოთ, ხომ?

— ინდაური კი არ მგონია, კაცო, მაგრამ აბა გახედე, სატბაანოში ყანა როგორ ბიბინებს, ჩვენსკენ კი...

— სოსო, დაგავიწყდა, კაცო, გაზაფხულის წყალდიდობამ თქვენი მინდვრები უფრო დაუნახა... არაფერია, გამოსწორდება.

— მართალი ხარ, ჩემო ლევან, გახსოვს, ტრაქტორებით გადავდიოდით ფერმიდან ფერმაში, რომ არაფერი გასვირებოდათ მეცხვარეებს, მინდორს.

...და მართლაც! ტრაქტორისტებმა ადრიანი გაზაფხულის წყალდიდობის დროს ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს. მთელი მინდორი ოქროსფერ ნაჯი დიდი ჯარით 1795 წელს თბილისს მოადგა, და მაშინ იყო, სამასი არაგველი ბრძოლის ველზე რომ დაეცა, ხოლო მათთან ერთად დაიღუპნენ ქალაქის სხვა დამცველებიც...

სპარსელები თბილისში შემოვიდნენ და შაჰის ბრძანებით ციცხელი წაუკიდეს ქალაქს და მთაწმინდის ულრან ტყეს.

ხანძრის შემდეგ გაშიშვლებული მთაწმინდის კალთებიდან კი წვიმებმა ჩამორეცხეს მიწის მთელი საფარი. ხოლო გვერდით მდებარე ლეღვთაბევრი დიდი წვიმების დროს მოეკარებოდა ღვარცოფი, რომელიც ეკოერდის აბანოების უბანში დიდ ზარალს აყენებდა შოსხლეობას...

მთაწმინდაზე, ტყის გაშენება დაუწყიათ ჯერ კიდევ 1891 წელს; განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, გასაკვირველი კი ცოტა როდი დარჩა.

აი ჩვენს ფოტოსურათზე, რომელიც ახლახან არის გადაღებული, მოჩანს სამხრეთი უდაბური ფერდობი. მის ქვემო ნაწილში კი ჩია ელდარის ფიჭვები, რომლებიც აქ ათ წელზე მეტია დარგეს. მათთან მიკვანილია წყალსადენის ქსელი. მთა ირწყვება და უამრავი ადამიანი ყოველდღე შრომობს აქ, მაგრამ ეს ფერდობი კვლავ ნახევრად გაშიშვლებულია, ხოლო ფიჭვები ერთ მეტრ სიმაღლეს ვერ აცილდნენ, მათი მწვრილები ვერ შეიკრნა.

...ამ რამდენიმე ხნის წინათ ასეთ ამბავი მოხდა.

მთაწმინდის სამხრეთა კალთის ოფერ წყლით იყო დაფარული; ოლეები ისე მოდიდებულიყვნენ, რომ ავტომანქანა კი არა, ურმები ვერ მოძრაობდნენ. ფარეხებში გამომწყვდეულ ათასობით ცხვართან საკვების მიტანა ჭირდა. ამას ისიც დაემატა, რომ სწორედ ამ დროს დოლი იყო გახურებული. ამ გაჭირვების უამს ტრაქტორისტებმა ძმური ხელი გაუწოდეს მეცხვარეებს. თქვენსა და თავსხმაში ტრაქტორებით მიჰქონდათ ფარეხებთან საკვები, გადაჰყავდათ დამხმარე ადამიანები.

მთავარი კი ის იყო, რომ მექანიზატორები — განურჩევლად იმისა თუ რომელი კოლმეურნეობისა იყო ფარები — ყველგან ერთნაირად მუშაობდნენ. ტიბაანელი ძველანაგელს ეხმარებოდა, ძველანაგელი კი ტიბაანელს.

— გაჭირვების დროს განა საკითხავია, რომელი სოფლისაა ცხვარი, — ამბობდნენ ტრაქტორისტები და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ცხვარ-მეცხვარეს არაფერი გასვირებოდათ. არცერთი ბატკანი არ დაჭარგვიათ, არც დედაცხვარი მოკვდომიათ, ნამატი მთლიანად შეინარჩუნეს.

...და განა მარტო ტრაქტორისტები ფიქრობენ და მუშაობენ ასე? ორი მეზობელი სოფლის ყველა მშრომელნი ძმური გრძნობებით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

მეზობლო კარსაო, სინათლე ხარ თვალსაო. ეს სიტყვები თითქოს ტიბაანელებსა და ძველანაგელებზეა ნათქვამი. ამაში თვით სოფლების წინამძღოლებს მიუძღვით წვლილი. ახლა ძველ ანაგაშიცა და ტიბაანშიც, აგრეთვე მთელ სიღნაღის რაიონში ხშირად გაიგონებთ — თავმჯდომარეებს სოსო ბეგიაშვილისა და ლევან დოლმაზაშვილის უანგარო მეგობრობამ ორი სოფლის კოლმეურნეობა ისე დააძმობილა და დაანახლოვა, რომ ლხინსა თუ გაჭირვებაში ერთად არიან, როგორც ძმები, ღვიძლი ნათესავები. ამან კი ორი კოლმეურნეობის გაძლიერებასა და სოფლების კეთილმოწყობას შეუწყო ხელი.

მაგალითის ძალას, როცა მას იღებენ არა შორით, არამედ კეთილმეზობლური გრძნობით, დიდი მნიშვნელობა აქვს.

საკვეყნოდ გაითქვა სახელი ძველანაგელმა მეცხვარემ გიორგი ჩალაბაშვილმა. ცხვრის მოვლა-პატრონობისა და ნამატის შენარჩუნების მეთოდი გიორგიმ მრავალი წლის დაკვირვებით, შრომით და გამჭრიახობით შეიმუშავა. მერე გამოცდილების გასაზიარებლად სტავროპოლის მხარეშიც იყო და, ცხადია, მისი შრომის მეთოდი საზოგადოებრივ მეურნეობას ბარაქას მატებს. ჩალაბაშვილის გამოცდილება სიღნაღის რაიონში პირველებმა ტიბაანელებმა გადაიღეს და არც შემცდარან. ამ ორი კოლმეურნეობის მეცხვარეთა საქმიანობას ახლა ქვეყნად იცნობენ რაიონში.

ტიბაანელთა და ძველანაგელთა ვენახები ერთნაირ ბუნებრივ პირობებშია. ნაწილი ალაზნის არხის ქვემოთ არის და ირწყვება, ნაწილი კი — ზემოთ, ურწყვავნი. ოთხი წლის წინათ ტიბაანელებმა ალაზნის არხიდან ფოლადის მილებით წყალი სოფლის ბოლოში აიყვანეს, იქიდან კი ვენახებში მიტანეს. ეს ამ ორ სოფელს ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ადგილზე

ნ. ბარათაშვილის იუბილესათვის

პოეტებს შეჯიბრებაში იწვევენ

სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირმა, გამომცემლობებმა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“ (მოსკოვი) და „მერანმა“ (საქართველო) გამოაცხადეს სრულიად საკავშირო კონკურსი ქართული პოეზიის კლასიკოსის ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსის „მერანის“ რუსულ ენაზე საუკეთესო თარგმანისათვის. პოეტის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებულ ამ შეჯიბრების გამარჯვებულთ განსაზღვრავს ჟიური, რომელსაც მიხეილ ლუკონინი მეთაურობს. დაწესებულია პრემიები: პირველი — 300 მანეთი, ორი მეორე პრემია — 200-200 მანეთი და ორი წასახალისებელი პრემია — 100-100 მანეთი.

ხელნაწერები საკონკურსოდ უნდა გაეგზავნოს სსრ კავშირის მწერალთა კავშირს 15 აგვისტომდე. (საკდესის კორ.).

გმირთა ნაკვალევზე

ლექსის დაბადება

ჭარი ქრიდა, ციოდა...

თამაშევგრცსლილი შალმოხვეული ხნიერი ქალი სასლიდან გამოვიდა და დინჯი ნაბიჯით გაუყვა გზას... იგი საყვავილეში შეედა, საგულდაგულოდ ამოარჩია ყვავილები, შეაკრეფინა თაიგული, მიიკრა მკერდზე და ქალაქის თვალსაჩინო ადგილას მდებარე საბჭოთა არმიის მებრძოლების ძმათა სასაფლაოსკენ გასწია...

შალმოხვეული ქალი მდუმარედ იდგა, მერე აქვითინდა, და გაიმა მისი ათრთოლებული სიტყვები:

— მამაკაცე, შვილო. ძალიერ გთხოვ მამაკაცო, მე ვარ მიზეზი, ჩვენ ყველანი!..

ქალი დამშვიდდა, ჩაიმუხლა, თაიგულით შეამკო საფლავი, ძეგლში ჩასმული სურათი სათუთად გაწმინდა. საფლავზე ამოსული ბალახს ასუფთავებდა, მიწას აფსეფერებდა...

ძმათა სასაფლაოზე მრავალი ხალხი იყო. საფლავზე კეთილშობილი ქალის ფუსფუსს ერთ-ერთმა მამაკაცმა მიაქცია ყურადღება. მოკრძალებით მიეიდა, ქუდი მოიხადა, ძეგლზე ამოკვეთილი ასოები ამოიკითხა, მოეინარა ვაჟკაცის სურათს დააკვირდა და, როცა დარწმუნდა, რომ იქ განისვენებდა, უცხო — ქართველი მეომარი, მიუახლოვდა ქალს და თანაუგრძნო მწუხარებაში:

— ქალბატონო, ნება მიბოძეთ, ჩემი ხალხის სახელით მადლობა გადაგიხადოთ ქართველ დედას... სახელოვანი შვილის აღზრდისათვის...

— მე ქართველი დედა არა ვარ, — ჩემი დედა ვარ!

— კი მაგრამ...

— დიახ, გლუჩინელი იულია ბროვიაკოვა ვარ! — მიმოიხედა ირგვლივ. — ამ ძმათა სასაფლაოზე ვინც განისვენებს, ყველა ჩემი შვილია, თქვენი შვილები არიან...

იულიას კვლავ თვალები დაენამა, თავშალი გადაიწია, სურათს აკოცა და უცნაურს მიუბრუნდა:

— დღეს ოცდაერთი მარტია, მისი დაბადების დღე, და დაბადების დღეს ჯუხდი! მე მოვალე ვარ, ვალდებული ვარ, ისე, როგორც მისი შობიერი დედა, ჩემი ქართველი და — ნინო მათიაშვილი თავისი ერთადერთი შვილის მიმართ!..

ორივენი იდგნენ, დუმდნენ და შეხედერდნენ მოღიმარი, ახლადშამომოლილლეგაშიანი ლამაზი ქართველი ვაჟის სურათს.

— ყველა პატიმარს ფაშისტები ეკანშივე ხვრეტდნენ, — განაგრძო იულიამ. — მე მაშინვე მივხვდი, რომ პატიმრებთან მათი ასეთი ოჩარული მოპყრობა შიშით იყო გამოწვეული. ჩემი ვარაუდი გამართლდა. მე როგორც პოლიტიკური პატიმარი, ცალკე საკანში ვიყავი გამომწყვდეული და წუთიწუთს ველოდი დახვრეტას, მაგრამ იმ დღეს უეცრად ატყდა ტყვიამფრქვევების. ავტომატების სროლა... გაიღო ჩემი საკნის კარი, შემოვარდა ახოვანი ვაჟკაცი, გადამეხვია, გადამეცინა და მითხრა:

— გამოდით, ამიერიდან თქვენ თავისუფალი ბრძანდებით! — წასვლას აპირებდა, რომ შევძახე:

— სადაური ხართ, გვარი, სახელი მითხარით!

... სროლა შეწყდა. მე უკვე ციხის ეზოში ვიდექი და მოწყურებული ვუსუნქავდი თავისუფლებას, სიცოცხლეს... ციხიდან გასასვლელ კარებს მივაშურე და ელდა მეცა, როცა კიბეებზე ავტომატით ხელში გულაღმა მწოლარე განგმირული ჩემი მხსნელი შევნიშნე!

თავზარი დამეცა. თვალთ დამიბნელდა...

ეს მოხდა ომის დამთავრების წინადღეებში — ოცდაორ აპრილს, იგი მაშინ ოცდასამი წლისა იყო...

— მაპატიეთ, მე ახლავე მოვალ, ახლავე! — იულიასთან მოსაუბრე კაცი ათიოდე ნაბიჯით დაშორდა ალაფლაზს, ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და წერა დაიწყო...

— ქალბატონო იულია, — მიმართა მამაკაცმა, — მე პოეტი ზდენეკ ბარი ვარ და უმორჩილესად გთხოვთ ეს ჩემი ლექსი, რომელიც ეს-ეს არის დავწერე და ვუძღვენი თქვენს მხსნელს — ტარიელ ჭურხულს, ყველა მის ფრონტელ მეგობარს, ამ ძმათა სასაფლაოზე რომ განისვენებენ, გაუგზავნოთ სახსოვრად ტარიელის დედას!..

ეი ის ლექსიც, ჩემმა მეგობარმა მოეტმა — ალექსანდრე ბეგაშვილმა რომ თარგნა:

ალდგა ქვეყანა ნაგრიგალევი,
შეწყდა სროლა და სისხლის ჩანჩქერი,
ცრემლით ავსილი დედის თვალები
შვილის ლოდინში კვლავ გზას გასცქერის.
გული გავუპეთ ფაშიზმის ურჩხულს,
შავი სვასტიკა დავლეწეთ გზნებით,
საქართველოში ტარიელ ჭურხულს
კვლავ მიელიან კახეთის ზვრები.
მაგრამ დედამიწს დარდი აოხერს,
თვალებს უქარგავს ცრემლის ღილები...
დრო მიდის, გმირთა სასაფლაოზე
ნაზად შრიალებს ვარდ-ყვავილები.
მიწაში გმირების გულმშვიდად
ხანავენ, თუმც დუმან, მაინც მათი ხმა
მათ ხალხის გულში დაიდეს ბინა,
მათ უმღერს ჩემი ალალი ლექსი.
ჩვენ მათი ხსოვნა არ
გვებინდება,
ომში ვინი ხმაც მარად
ისმოდა.
მათ მოიპოვეს მარად დიდება,
მათ დაიფარავს მარადისობა!

ეი ასე იშვა ამ ქვეყანაზე მეგობრობის მართალი გრძნობით შთაგონებული კიდევ ერთი ლექსი.

გ. პაპიაშვილი.

ბრალა-თბილისი.

• • •

სურათზე: იულია ბროვიაკოვა ტარიელ ჭურხულის საფლავთან.

სიახლე სოფლად

სავაჭრო ცენტრი „ფიჩვნარი“

ამ დღეებში მანგლისში გაიხსნა ახალი სავაჭრო ცენტრი „ფიჩვნარი“. ცენტრის ფართო დარბაზებში განლაგებულია მაღაზიები, რომლებშიც გათვალისწინებულია ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობისა და კურორტზე დამსვენებლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

პირველ სართულზეა დიდი გასტრონომიული მაღაზია. მის ვიტრინებსა და დახლებზე საბაკალეო, გასტრონომიული, საკონდიტრო საქონლის, ნახევარფაბრიკატების, ცალობითი საქონლის დიდი არჩევანია. მის ახლოს სამეურნეო და საოჯახო საქონლის მაღაზიაა. კულტსაქონლის მაღაზიაში მუსიკალური ინსტრუმენტები, სასპორტო ინვენტარი, რადიოსაქონელი და ფოტოსაქონელი, ხაბავშვო სათამაშოები.

მეორე სართულზეა სამრეწველო საქონლის დიდი მაღაზია.

სართულის მარცხენა ფრთაზეა რესტორანი ერთდროულად დასახსდომი 100 ადგილით.

სავაჭრო ცენტრის აივანზეა საზაფხულო ტიპის ლუდის ბარი.

ზეძირკვლის სართულზე გაწლაგებულია დამმარე საწარმოები — ლიმონათის საავჭრო წელიწადში 10 ათასამდე დეკალიტრის წარმადობისა, ნაყინის წარმოება, სამაცივრო მეურნეობა.

სურათზე: სავაჭრო ცენტრი „ფიჩვნარი“.

ტექსტი და ფოტო ვლ. გიგნაშვილისა.

ჩემპიონობის კანდიდატები

მსსინაში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. კვლავ წარმატებით გამოდის ამ ტიტულის რვაგზის მფლობელი სსრ კავშირის ნაკრები. ისევე, როგორც წინასწარ შეხვედრებში, ჩვენი კალათბურთელები ფინალშიც დაუმარცხებლად იბრძვიან და ლიდერობას ინარჩუნებენ.

სსრ კავშირის ნაკრებმა მესამე მატჩში დაამარცხა ბელგიის გუნდი ანგარიშით 84:34.

სნაიპერები

თბილისში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკური ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და თბილისის გუნდები.

საგრანდშეო სროლაში უძლიერესი იყო თბილისელი ა. ბუბინა, რომელმაც 186 ქულა შეაგროვა. მრგვალ სტენდზე ასეთივე შედეგი გაიმარჯვა მ. ფლენტმა (თბილისი).

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისის „მონკავშირის“ მსროლელებმა.

ქორჩნოი ახლა გამარჯვებასთან

მოსკოვი, 13 ივლისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტი, საერთაშორისო არბიტრი ი. **რობლინი**). მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მეცხრე პარტია მიხეილ ტალსა და **ვიქტორ კორჩნოის** შორის, როგორც ეიუწყებოდით, გადადო 41-ე სვლაზე.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონისათვის ამ შეხვედრაში ყაიმის შეიძლებოდა საერთო დამარცხება მოპყოლოდა. **კორჩნოის** ხომ ერთი ქულის უპირატესობა აქვს და ყველმა ოსტატმა იცის, რა ძნელია გადამწყვეტი პარტიის მოგება თანასწორ მოწინააღმდეგესთან. ეი რატომ იყო, რომ ტალი ესპანური პარტიის კარგად ცნობილ ვარიანტში ეძებდა ახალ გზებს და დიდხანს ფიქრობდა თითოეულ სვლაზე.

დებიუტში ტალის პოზიცია უკეთესი იყო და მისი ფიგურები უფრო აქტიურად იყვნენ განლაგებული. მაგრამ მეოცე სვლის შემდეგ მოხდა გარდატეხა. ტალი დაცვითის ტაქტიკაზე გადავიდა და გაცვალა მსუბუქი ფიგურები, რის გამოც ინიციატივა ხელთ იგდო **კორჩნოიმ.**

გუშინ შედგა გადადებული პარტიის დამთავრება. ხუთი სვლის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მ. **ტალისა** და **ვ. კორჩნოის** მატჩში ანგარიში გახდა 5:4 **ვ. კორჩნოის** სასარგებლოდ. ლენინგრადელ გროსმაისტერს ფინალში გასვლისათვის უკანასკნელი პარტიის ყაიმით დამთავრებაც კი ხელს აძლევს.

„ვარსკვლავები“ ლეუვერდენში გამოდიან

ამსტერდამი, 12 ივლისი. (საკდესი). ასუკრდიან შაშში საერთაშორისო ტურნირის სამი ტურის შემდეგ, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ ლეუვერდენში მიმდინარეობს სსრ კავშირის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ჰაიტის 12 მოშაშის მონაწილეობით, ლიდერობა ხელთ იგდეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მოსკოველმა ვიტალი სლავინი და ჰოლანდიის ჩემპიონმა ჯ. ბერგსმამ — მათ 2,5-2,5 ქულა აქვთ. ჰოლანდიის ჩემპიონთან დამარცხების მიუხედავად, მინსკელი მოშაშე ანატოლი კარპოვი, რომელსაც ორი ქულა აქვს, მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს მსოფლიოს ჩემპიონ ანდრეს ანდრეიკინთან.

ფეხგურთელთა ჩემპიონატი

გაცნობებთ ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის ფეხბურთელთა ეუნდების 12 ივლისის მატჩების შედეგებს: ვოლგოგრადის „ტრაქტორი“-ასტრახანის „ვოლგარე“ — 1:0, გორკის „ვოლგა“-ბათუმის „დინამო“ — 6:1, იოშკარ-ოლის „სპარტაკი“-ლენინაკანის „შირაქი“ — 4:1, ყაზანის „რუბინი“-ტყიბულის „მეშახტე“ — 1:0, სვერდლოვსკის „ურალმაში“-მახაჩყალის „დინამო“ — 2:0, ჩელიაბინსკის „ლოკომოტივი“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 1:1, მაკნიტოგორსკის „მეტალურგი“-სუმგაითის „ფოლადი“ — 1:3, უფის „სტროიტელი“-ტაგანროგის „ტორპედო“ — 3:0, იჟევსკის „ზენიტი“-გროზნოს „ტერეკი“ — 2:1, პერმის „ზვეზდა“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 1:3. (საკდესი).

შემთხვევები — გზაში — საოპერაციო მაგიდაზე

ოპერაცია გულზე

წვიმას ღრეჭალა, წვიმაკი იცნა

აპგომანქანის მძღოლს სტანისლავ კრეგეცს ძლიერმა ელვამ გზაში მოუსწრო. ტვირთი — პიონერთა ბანაკისათვის განკუთვნილი ჰრდუქტები — რომ არ დასველებოდა, კრეგეცმა მანქანა ტოტებგანიერი მუხის ქვეშ დაადგინა. მუხის ტოტები ქოლგასავით გადაეფარა მანქანის ძარას. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი უბედურება: იტეტა და ელვამ ხეს ცეცხლი წაუკიდა. იგი მაშინვე მოედო მანქანასაც. მძღოლი არ დაიბნა და ცეცხლმოკიდებული მანქანა სწრაფად გამოიყვანა გამლილ ველზე. კოკისპირულმა წვიმამ ხანძარი ჩაქრო.

მინსკი.

ეს მოხდა შებინდებისას. სასწრაფო დახმარების მანქანამ ქალაქის მეგ კლინიკურ საავადმყოფოში (ხელმძღვანელი პროფ. გ. ბუნდაძე) მიიყვანა მძიმედ დაჭრილი ავადმყოფი ა., რომელსაც არ ესინჯებოდა პულსი, არ იზომებოდა წნევა. მარცხენა ძუძუსთან დანით მიყენებული ჭრილობა განმგმირავი ჭრილობა.

კლინიკის I ქირურგიული განყოფილების გამგემ რ. ღვამიჩავამ განსინჯა თუ არა ავადმყოფი, გადაწყვიტა სასწრაფოდ გაეკეთებინათ ოპერაცია. და ეი ავადმყოფი უკვე საოპერაციო მაგიდაზეა. ამუშავდა განყოფილების მორიგი ბრიგადა. ავადმყოფს ეკიმმა მ. კუნკუნელამ მისცა ენდოტრაქიალური ნარკოზი.

ოპერაცია დაიწყო. ქირურგს ეხმარებოდა ორდინატორი ი. ცინცაძე. მეზუთე, მეექვსე ნეკნებს შორის ხრტილების გადაკვეთით ქირურგმა შეაღწია გულამდე, გადაჭრა პერიკარდიუმი, საიდანაც გადმოიღვარა გულის მარკვენა პარკუჭის ჭრილობის შედეგად დაგუბებული სისხლი. გული ხელხლიხაგან განთავისუფლდა თუ არა, ინტენსიურად ამუშავდა. სწრაფად მოძრაობდა ქირურგის ხელები. მან მარკვენა პარკუჭზე მიყენებულ ჭრილობას სამი ნაკერი დაადო. ცოტა ხანიც, და ოპერაცია დამთავრდა. ასევე წარმატებით ჩაიარა ოპერაციისშემდგომმა პერიოდმა.

ამუამად ავადმყოფი თავს კარგად გრძნობს და მალე გაეწერება კიდეც საავადმყოფოდან.

ქირურგი რ. ღვამჩავა უკვე 20 წელია წარმატებით აკეთებს რთულ ოპერაციებს. მას არაერთი ავადმყოფისათვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე, არაერთი მადლობის წერილი მოსულია რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ გულზე ოპერაცია მან პირველად გაკეთა.

ლ. ხუბულური.

ცსკა—„ზარია“

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურის მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლუგანსკის „ზარიას“ გუნდები. შეხვედრის შედეგია 4:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

ორშაბათი, 15 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ინტერვიუ „მთის ფერდობების ათვისების პრობლემა“, 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.20 — გრ. კილაძე. სიმფონიური ნაწარმოებები, 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — უ. მშველიძე. ნაწყვეტები ოპერა „დიდოსტატის მარჯვენიდან“, 12.30 — მხიარული ფურცლები ოპერეტებიდან (მოსკოვი), 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის შემოქმედებითი პორტრეტი (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრობის ხმები“ გადმოცემა მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 —უკანასკნელი ცნობები, 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „სათაფლია“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა კონცერტი, 18.00 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — საესტრადო კონცერტი, 19.00 — საუბარი „ლენინის პირველი ნაწარმები ქართულ ენაზე“, 19.15 — მ. ბალაკირევი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — კარლოს მუუბლას სიმღერები, 20.20 — საერთაშორისო კონცერტარი (მოსკოვი), 20.30 — „ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის კამერული ორკესტრისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 21.00 — „ძალისპირული“, 21.15 — ციკლიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზია“. ბელორუსი პოეტების ლექსები, 21.40 — კომპოზიტორ შპილმანის სიმღერები, 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მოსკოვიდან. ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“,

22.15 — ირანული სიმღერები,
22.30 — უკანასკნელი ცნობები,
23.30 — ლირიკული მელოდიები,
23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

14 ივლისი

09.40 — გადაცემათა პროგრამა, 09.45 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“, 11.10 — საბავშვო-პოპულარული ფილმი „ჩვენ კინომყვარულები ვართ“ (ქართულ ენაზე), 12.00 — სატელევიზიო ჟურნალი „თქვენთვის, ქალებო“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 12.30 — გადაცემა „მებადურის დღე“, 12.50 — კინოფაფაში, 13.05 — კონცერტი, 13.50 — მოსწავლეთათვის—„ხელმარჯვე ბავშვები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.20 — მოსწავლეთათვის — ჰოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მარეკ პეგუსის თავგადასავალი“ (მერვე სერია), 12.45 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცი ხვიტია“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 —კინონარკვევი, 18.30 — ბავშვებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 19.10 — გადაცემა „ტრადიცია გრძელდება“, 19.30 — „კვირიდან კვირამდე“ — სატელევიზიო პროგრამების მიმოხილვა, 19.40 — კონცერტი „უკრავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კვარტეტი“, 20.15—„ოთამეი“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 21.50 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 22.00 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 22.15 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 22.30 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 22.45 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 23.00 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 23.15 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 23.30 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 23.45 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“, 24.00 — „ოთამეი“ — „ბოლო ბეჭედი“.

თბილისის ეკრანებზე

როცა ქარ-ნვიმა სარკმელს ეხლება

არვიდ ბრიგულიხის ამავე სახელწოდების დოკუმენტური მოთხრობის მიხედვით

რიგის კინოსტუდიის ნაწარმოები

რედაქტორი

დ. მეჯლიშვილი.

სახელი ქაცისა

ბაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი იყო ზ. ჭუმბურიძის წერილი — „მე თურმე „ელეფთერს“ მარქმევდნენ“. ამ წერილმა მრავალი მკითხველი ისე დაინტერესა და ჩაფიქრა, რომ ხელში კალამი აიღებინა. და აი, რედაქციაში მრავალი შეკითხვა შემოვიდა. მოგვყავს ზოგიერთი:

„გთხოვთ ჩამოგვითვალოთ უძველესი ქართული სახელები“...

„რატომ გაჩრა ძველი სახელები?“

„რამ განაპირობა ამა თუ იმ გვარისა და სახელის წარმოშობა“? ერთერთმა აღშფოთებულმა მოქალაქემ კი ხაყვედურიც გამოთქვა:

„...თქვენი აზრით, რაც დღეს ხმარებაში სახელებია, ყველა უცხოური წარმოშობის არის? რატომ ბღალავთ ჩვენს ეროვნულ ღირსებას?“ და ა. შ.

ამგვარი წერილების დასტათ ხელში ჩვენი კორესპონდენტი ისტორია ენათმეცნიერს, პროფესორ ალ. ღლონტს და სთხოვა მასუხი გაეცა მკითხველთათვის.

„კომუნისტის“ მკითხველთა ცხოველი ინტერესი ქართული საკუთარი სახელებისადმი სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. ყველას გვსურს ლამაზი სახელი ამშვენებდეს ჩვენს მახლობლებს — დებს, ძმებს, შვილებს, შვილიშვილებს.

ქართველ ტომებს საკუთარი სახელები თვითეული არსებობის პირველი პერიოდიდანვე შეუქმნიათ. მათი უძველესი ნიმუშების წარმომავლობასა და სტრუქტურაზე დაკვირვებას მეტად შორეულ წარსულში გადავყავართ. მართალია, ჩვენი საკუთარ სახელთა თავდაპირველი ნომენკლატურა არა თუ შესწავლილი, ცოტად თუ ბევრად სრულყოფილად გამოვლენილიც კი არ არის, მაგრამ ის მასალა, რაც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება, საკმარისია ამ სახელთა სისტემის ბუნების გასათვალისწინებლად. ყველა ამ საკითხზე ვრცლად საუბარი მცირე წერილში შეუძლებელია, ამიტომ მოკლედ შევეხები მკითხველთათვის საინტერესო საკითხს.

ბევრმა ადგილობრივმა სახელმა ეპოქათა ქარტეხილებს გაუძლო და დღევანდლამდის გაუხუნარად მოიტანა თავისი სილამაზე. მნიშვნელოვანი ფონდი ასეთი სიტყვებისა შთამომავლობას შემოენახა როგორც მწიგნობრობის გზით, ისე ზეპირი ტრადიციით. V-XVIII სს. წერილობითს ძეგლებში დამოწმებულია სახელები, რომელთა ძირითადი ნაწილი ადგილობრივი წარმოშობისაა და წარმართობის ეპოქაშიაც პოპულარული უნდა ყოფილიყო ქართველ ტომებში. აი, მაგალითად, როგორ ყალერს ზოგიერთი მათგანი: **აბუსერ, ავაგ, ავალ, ათუა, ბაკა, ბარძიმ, ბაქარ, ბოცო, გუარამ, დაჩი, ვარამ, ვაჩე, თადა, თაუა, მაუა, მახარა, რატი, საგინა, საღირ, სულა, ქავთარ, შანშე, შერგილ, ჩოლოყა, ხახუტა, ჯაბო, ჯავახ, ჯოკიკ** და ა. შ. ხსენებულ წყაროებში ასევე ყალერს ქალთა სახელები: **გვანცა, გულჩინა, ესანათრ, მზეხა (ზეხა), თოფლა, თოლია, თოინა, თუთი, თუხარი, იაღნა, ინე, კიკლუცა, მახია, ცაგო, შუქია, ბორენა** (ა. გამსახურდიას ცნობილი რომანიდან გავრცელდა შორენა, ძველად კი ბორენა იხმარებოდა)...

ამათ პარალელურად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილია: (მამაკაცთა სახელები) **აბდი, აბიკა, აგუნა, აგურაგ, ბართა, ბაჩა, ბაძია, ბახა, გაბა, გეგი, გვედო, გობრონ, ვამიყ, ზეშოელ, ზაქა, ზვიად, კაცია, ხვიჩა;** (ქალთა სახელები) **აგუნდა, აგუტი, ადა, ალდია, ალირა, ანელა, ბადული, ბადუკი, ბარდუ, ბებე, გაგუ, გამაცინე, გინატრე, გუცა, დადანა, დარდო, დიღლო, თვალმინდი, იმედი, კოკორი, მზიულა, მიუკვარა, მნათობა, სამძიმარი, შვენა, ცაცა** და ა. შ.

თავდაპირველად საკუთარ სახელად ხალხს გამოუყენებია **მოფერებითი** ფორმები ცალკე **ნივთის** (ბროლა, ნამგალა), **ადამიანის** (კაცია, ქალია, ქალუკა, ვაჟა, ვაჟია, ბიჭია), **თვისების** (თეთრა, **ზვიადა, ჭრელა, ახალა, ბერა, ბერიკა), მოქმედების** (შეიდობა, წყალობა, საჩინა, მნათობა), **ცხოველთა** (ძაღლიკა, დათვია, მგელია, კურდღელა, ვეფხვია, ფოცხვერა, ირემა), **ფრინველთა** (მერცხალა, ყორანა, შავარდენა) აღმნიშვნელი სახელებისა. ეს სიტყვები, უნდა ვიფიქროთ, პირველად ადამიანთა თიკუნს (მეტსახელს) წარმოადგენდნენ, ხოლო საკუთარ სახელებად შემდეგ იქცნენ. გვიან კი მათგან გვარები ამოიკვეთა (ბროლაშვილი, ნამგალაძე, თეთრაძე, ზვიადაძე, ჭრელაშვილი, ახალაძე, ბერაძე, ბერიკაშვილი, მგელაძე და სხვანი).

გვართა ძირითადი ნაწილი, როგორც ვიცით, სწორედ საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს.

ადგილობრივი სახელები დამკვიდრებული იყო ხალხის ყოფაში და ეპოქიდან ეპოქას გადაეცემოდა ხოლმე, სანამ საკულტოვან ტრადიციას წინ არ აღეფადგა ქრისტიანული რელიგია. ამჟამად ძველი ფონდი ქართული საკუთარი სახელებისა რამდენადმე დაცულია მთის რაიონებში და ისიც, ჩვეულებრივ, შინაურობაში იხმარება. მისი დიდი ნაწილი დავიწყებას მიეცა ზოგიერთ კუთხეში შემორჩა მათი მხოლოდ მეტად მცირე ნაწილი, ისიც მეორე (შინაურობაში სახმარ) სახელთა სახით.

დიდმა ვაჟამ, მესმა ძმებმა — ბაჩანამ და თედომ, ალ. ყაზბეგმა და სხვა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა დავიწყების ჩრდილი ჩამოაშორეს ათეულობით წარმოა სახელს, რომლებიც ფშავში, ხევსურეთში, ხევში, მთიულეთში და სხვ. იხმარებოდა. მათი ნაწერებიდან ცნობილია: აპარეკა, ბაჩანა, ბადა, ბაჩია, ბახურა, ბოიგარი, გაგა, გეგენი, გიგოლა, გოგოთურ, გოჩა, დათვია, თორღვა, მინდია, ნადირა, ნიბლო, ონესე, პაპუა, ჩოხელა, ხადელა, ხახი, ხირჩლა, ქალთამზე, მზეიქალა, თეთრუა, დედუნა, დედიკა, მაყვალა, მზეევნარი, ჩიტო, ნათელი, ქალიკო, ციცია, ხვარამზე, ჯავარი და სხვ.

დროთა განმავლობაში ქართულ საკუთარ სახელთა ფონდს ნასესხებიც შემოერია, ხოლო ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ (IV საუკუნის გასულიდან) ნასესხებ სახელებს გავრცელების ფართო გზა გაეხსნა და სამგალეროდ ტრადიციულის არეალი შეავიწროვდა. ქართულ წარმართულ ონომასტიკონს დაუპირისპირდა ე. წ. ქალენდრის სახელები, რომელთაც თანდათანობით განდევნეს ძველი, თავისთავადი სახელები და მათი ადგილი დაიპყრეს.

ქართველობას საკუთარი სახელები შეუთვისებია ზოგი ამ ხალხისა და ტომისაგან, ვისთანაც ახლო კონტაქტები, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონია, ან ვისაც ქართველი ერის ჩამოყალიბებასა და მწიგნობრობის გავრცელებაში მონაწილეობა მიუღია. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ე. წ. **ქალენდრის სახელები,** რომლებიც ასევე პოპულარობით სარგებლობდნენ ქრისტიან ერებში საერთოდ. გარკვეული ნაწილი დამკვიდრებულია ხურიტულ, სპარსულ, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, თურქულ, რუსულ, ევროპის სხვადასხვა ენის მეშვეობით. ბერძნულიდან შეთვისებულია თვით ძველბერძნული, ძველბერძული სახელები, რის მთავარი ნაწილის უშუალო წყარო ძველი და ახალი აღთქმის წიგნებია (მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე, ალექსანდრე, ანდრია, დავით, იაკობ, იოსეს, ბართლომე, ანა, მარიამ, ელენე); **სპარსულ-არაბული** ენებიდან არის ნასესხები: ვეფი, ვახტანგ, თეიმურაზ, ლეილა, ზურაბ; **ევროპული** ენებიდან: კარლო, პეერ, ტრისტან, ჰამლეტ, ტიციან, იზოლდა, მატილდა, ანეტა, ვიქტორია; **რუსულიდან:** ვლადიმერ, ვერა, ნადეჟდა, ლუბა; ბევრი უცხოური წარმოშობის სახელი ისე შეეგუა და შეუესისლბორიცდა ჩვენს ენასა და ეროვნულ ყოფას, რომ ახლა კიცს უჭირს მათი არაქართულად მიჩნევა (ლადო, დათო, თედო, ვანო, სიკო, კოტე, რაფო და ა. შ.). ნასესხები სახელები დიდი ხანია დამკვიდრებულია ხალხში, მათ ატარებდნენ და ატარებენ ერის ფეოქრთამპყრობელნი, ლიტერატორნის, კულტურის, მეცნიერების სახელოვანნი მოღვაწენი, ამ სახელებით ვიცნობთ ლიტერატურულ ქმნილებათა საყვარელ პერსონაჟებს. უარის თქმა ისეთ უცხოური წარმოშობის სახელებზე, რომლებიც საუკუნეებს განმავლობაში ხალხში ტრიალებენ და უკვე მშობლიურად არიან მიჩნეული, ცხადია, უგუნურობა იქნებოდა. ამიტომ ეს ფონდი არათუ უნდა შეიკუმშოს, პირიქით, კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და გავრცელდეს. რაც შეეხება ჩვენს ყოფასთან შეუთავსებელ სახელებს (ჰამლეტი, ადოლფი, ვერმოგენი) მათი გავრცელება მიზანშეწონილი არ არის.

ჩვენ ამასთან პირველ რიგში მოვალენი ვართ მეტი პატივი ვცეთ მამა-პაპათა სახელებს. აღვადგინოთ დაფარული და მივიწყებული საუნჯე, შევისწავლოთ ტრადიციული საკუთარი სახელები, მოვწმინდოთ მათ „სიძველისა“ და „კუთხურობის“ მტვერი, გამოვარჩიოთ მათგან ბედნიერი თანამედროვეობისათვის შესაფერისი ნიმუშები და მივცეთ ფართო ასპარეზი! ვინ არ ისურვებდა, მაგალითად, თავისი შვილის ან შვილიშვილისათვის დაერქმია ბექა და გვანცა, ვაჩე და დედიკა, ბოცო და შვენა. ამის ნიმუშებს იძლევა ბევრი ახალგაზრდა შშობელი, რომელთა მოქმედება ყოველმხრივი მოწონების ღირსია.

**